




დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2018 წლის 28 ნოემბრის N41 ბრძანებით ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N9 ბრძანებით



პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი



თბილისი 2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" გათვალისწინებით. წინამდებარე წესი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების სისტემას.

მუხლი 2. კრედიტების განაწილება

1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
2. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს შორის. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს.
3. კრედიტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა

1. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრებას, გაცნობით პრაქტიკას, პრაქტიკულ პროექტს, საწარმოო პრაქტიკას, დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტის მიღება ხდება მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგების დადასტურებით.

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) ჩაბარებას.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება (საგნობრივი პროგრამებისთვის)

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე და პრაქტიკებზე დასწრება სავალდებულოა;
3. პრაქტიკა მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო საათებს;

4. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შედეგის მიღების, გამოცდაზე გამოუცხადებლობის, დასრულებამდე გამოცდის დატოვების ან მიღებული დადებითი შედეგის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიულ სტუდენტს საშუალება ეძლევა გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე;
5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფით შეფასების მიღების შემთვევაში, შედეგების გაცნობიდან არანაკლებ 10 დღეში;
6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება საბოლოოა და მისი გადაბარება დაუშვებელია;
7. პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით და დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება;
8. შეფასების კრიტერიუმები ცალკეული სასწავლო კომპონენტისათვის უნდა შედგეს ინდივიდუალურად, მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად და დეტალურად უნდა გაიწეროს სილაბუსში;
9. შეფასების ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს მისაღწევი სწავლის შედეგების ობიექტურ შეფასებას;
10. პროგრამის კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;
11. 100 ქულა უნდა გადანაწილდეს შეფასების ყველა კომპონენტზე;
12. გამოცდის შედეგების გაცნობის და საჭიროების შემთვევაში გაპროტესტების საშუალება პროფესიულ სტუდენტს უნდა მიეცეს არაუგვიანეს მისი ჩატარებიდან სამი სამუშაო დღისა;
13. გამომცემელი ვალდებულია, გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა;
14. სასწავლო კურსის და პრაქტიკის კომპონენტის საბოლოო შეფასებაფორმდება შეფასების უწყისით.
15. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
 - სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, სხვადასხვა აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (მოდულური პროგრამებისთვის)

1. პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

2. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

4. ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამოიმხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-

ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

- სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად;
- მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს, განსაზღვრავს მოდულის ხელმძღვანელი;
- შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას;
- ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს;

5. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 8 დღისა, ხოლო ყოველ შემდგომ სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებას არეგულირებს კოლეჯის დირექტორი გამოცემული აქტით;

6. დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასების პროგრამის დასრულებამდე;

7. დაუშვებელია ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება;

5. შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო ვერიფიკაციას ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის მიერ;

8. ვერიფიკაციის მიზნით შეფასების ინსტრუმენტი შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს ათი სამუშაო დღით ადრე უნდა წარედგინოს ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერს;
9. ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი ვალდებულია განიხილოს ინსტრუმენტის პროექტი და დაადასტუროს "შეთანხმებულია ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერთან" ან შენიშვნებით და წინადადებებით დაუბრუნოს მოდულის განმახორციელებელ პირს;
10. ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი;
11. შეფასების მიზნებისთვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება;
10. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას;
12. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს;
13. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;
14. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად;
15. შესაძლებელია მოდულის რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;
16. შედეგის/შედეგების დადასტურება ფორმდება შეფასების უწყისში;
17. დაწესებულებაში მოდულური პროგრამებისთვის სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის შესახებ წესი განისაზღვრება ამ დებულების მუხლი N37, 38, 39.
18. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები;
19. შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერს;
20. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით;
21. პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 6. შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გაპროტესტება/აპელაცია

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად შეფასების შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს წერილობით და მოითხოვოს შეფასების გადასინჯვა;

2. სასწავლო პროცესის მართვის მთავარი სპეციალისტი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან;

3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად;

4. შეფასების პროცესზე/გამოცდაზე გამოცხადებით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ის იცნობს მისი ჩატარების წესებს;

5. შეფასების პროცესზე/გამოცდაზე დაგვიანება განიხილება გამოუცხადებლობად.

მუხლი 7. პრაქტიკის შესრულება/შეფასება

1. პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: კოლეჯი, პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი;

2. პრაქტიკის (სასწავლო/საწარმოო/გაცნობითი) სრულყოფილად განსახორციელებლად კოლეჯმა წინასწარ უნდა შეათანხმოს პრაქტიკის ობიექტთან პრაქტიკის ორგანიზება, ამისათვის:

ა. კოლეჯის დირექტორი წერილობით მიმართავს შესაბამისი სფეროს დამსაქმებელს 30 დღით ადრე პრაქტიკის დასაგეგმად და აცნობებს;

- ❖ სამუშაო ადგილზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
- ❖ პრაქტიკის ხანგრძლივობას;
- ❖ დღიურად სამუშაო საათების რაოდენობას;
- ❖ პრაქტიკის დაწყების თარიღს;
- ❖ პრაქტიკის სილაბუსს.

ბ. კოლეჯის წარმომადგენელი (პრაქტიკის ხელმძღვანელი) პრაქტიკის დაწყების დღეს მიყვება პროფესიულ სტუდენტებს სამუშაო ადგილზე და წარუდგენს მენტორს პრაქტიკის მიზნებსა და შინაარსს. პრაქტიკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა დროულ გამოცხადებაზე და გარეგნობის/ჩაცმულობის სტანდარტების შესაბამისობაზე პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან;

გ. პრაქტიკის დაწყების დღეს მენტორი შეხვედბა ყველა პროფესიულ სტუდენტს და მიაწვდის მათ შემდეგ ინფორმაციას:

- ❖ სამუშაო ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო;
- ❖ დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა;
- ❖ პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა;
- ❖ პრაქტიკის ობიექტის შნაგანაწესის გაცნობა.

დ. თითოეული პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტის ტერიტორიაზე ყოფნისას უნდა დაემორჩილოს სამუშაო ადგილზე მოქმედ შიდა რეგულაციას და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს;

- ე. მენტორთან ერთად, პრაქტიკის ხელმძღვანელმა რეგულარულად უნდა განახორციელოს პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი;
- ვ. პრაქტიკის დასრულებისას, მენტორი, პრაქტიკის ხელმძღვანელი და კოლეჯის წარმომადგენელი ხვდებიან პრაქტიკული სწავლების შედეგების განსახილველად;
3. პროფესიული სტუდენტი, რომელიც იმყოფება პრაქტიკაზე, ვალდებულია აწარმოოს დღიური, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების მიერ;
4. დღიურის შევსება წარმოებს რეგულარულად;
5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კვირაში ერთხელ წარუდგინოს დღიური პრაქტიკის ხელმძღვანელს და მენტორს;
6. დღიურში ჩანაწერები უნდა წარმოებდეს სილაბუსის/მოდულის მიხედვით;
7. პრაქტიკის დასრულებამდე პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს მენტორს დღიური, რის შემდეგაც უნდა მიიღოს დახასიათება პრაქტიკის პერიოდში გაწეული მუშაობის საფუძველზე;
8. პრაქტიკის დასრულების შემდეგ მენტორი თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას, რომელშიც აღწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევები, გარდა ამისა, დახასიათებაში სასურველია იმ კომპეტენციების ჩამოთვლა, რომელიც მენტორის აზრით, პროფესიულ სტუდენტს ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვს ჩამოყალიბებული;
9. დახასიათება დამოწმებული უნდა იყოს მენტორის ხელმოწერით და პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში);
10. პრაქტიკის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს პრაქტიკის დღიური და დახასიათება კოლეჯიდან დანიშნულ პრაქტიკის ხელმძღვანელს.

